

მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება

კვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2020 წლის ბოლოს დაიწყო ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში კვლევა. კვლევა ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე.

კვლევის მიდგომა ემყარება 1 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე რესპონდენტებისაგან განმეორებით ინფორმაციის შეგროვებას (პანელური კვლევა).

კვლევის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით კვლევის მეორე ტალღისთვის შერჩევის ზომა განსაზღვრულია 1,996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 965 ერთეულით, ხოლო სოფლად 1,031 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

კვლევის მეორე ტალღის საველე სამუშაოები ჩატარდა 2021 წლის თებერვალ-მარტში. გამოპასუხების დონემ შეადგინა 87.1 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 87.6 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 86.6 პროცენტი.

კვლევის მეორე ტალღის საკვანძო გზავნილები

1. ინტერნეტთან წვდომა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

- შინამეურნეობების 15.8% არ აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად ორჯერ აღემატება ქალაქის მაჩვენებელს, 22.9% და 10.8% შესაბამისად. ქვეყნის დონეზე აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის ნოემბერთან შედარებით შემცირებულია 5 პროცენტული პუნქტით;
- შინამეურნეობების მხოლოდ 58.4% აქვს საკუთრებაში კომპიუტერი ან პლანშეტი. ასეთი შინამეურნეობების წილი ქალაქად 71.1%, ხოლო სოფლად 40.2% შეადგენს. მობილური ტელეფონი საკუთრებაში აქვს შინამეურნეობების 99.6%-ს.

2. COVID-19

- კითხვაზე გაიკეთებდნენ თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას, თუ ის უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი და მთავრობის მიერ აღიარებული, როგორც უსაფრთხო და ეფექტური, რესპონდენტთა 8.6%-მა უპასუხა - ძალიან მოსალოდნელია, 20.2%-მა - მოსალოდნელია, 29.5%-მა - არ გადამინყვეტია, 10.4%-მა - ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო 31.4%-მა - თითქმის გამორიცხულია. ჭამში მათმა წილმა ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა შეადგინა 71.2%;
- მათგან ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, ყველაზე ხშირად ასახელებს შემდეგ მიზეზებს, როგორიაა, ვაქცინის გვერდითი მოვლენები - 58.1%, ვაქცინა იწვევს სიკვდილს ან უნაყოფობას - 37.5% და ვაქცინა ძალიან ახალია, სწრაფად შეიქმნა და საკმარისად არ არის გამოცდილი - 36.5%;
- რესპონდენტების 38.8 პროცენტმა განაცხადა, რომ სჭირდებათ მეტი ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ. ამასთან, მათ ვისაც სჭირდებათ, ყველაზე მეტად აინტერესებთ რამდენად უსაფრთხოა (81.3%), გვერდითი მოვლენები (56.4%) და რამდენად ეფექტურია (55.5%);
- რესპონდენტების 12.1% საერთოდ არ ენდობა ვაქცინებს (იგულისხმება ყველა ტიპის ვაქცინა, არა მხოლოდ COVID-19-ის საწინააღმდეგო), მაშინ, როცა 19.6% ენდობა ყველა ვაქცინას, 38.1% ენდობა ვაქცინების უმეტესობას, ხოლო 27.3% - მხოლოდ ზოგიერთ ვაქცინას.

3. ბავშვების განათლება

- 2-4 წლის ბავშვების მხოლოდ 44.7% და 2-5 წლის ბავშვების მხოლოდ 52.1% დადიოდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;
- 2-5 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული და მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში დახმარების სახით მიიღეს საკვები სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საბავშვო ბაღების დაკეტვის დროს 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის მარტამდე პერიოდში, შეადგენს 92.4%;
- 2020 წლის მარტში 2-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ 4 ან მეტ აქტივობაში¹ შეადგენდა 97.8%. შედარებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში შეადგენდა 92.3%. იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელი 2-5 წლის ბავშვებისთვის შეადგინა ასევე 97.8%;
- 2021 წლის მარტში, 6-17 წლის ასაკის ბავშვების 78.7% ესწრებოდა სასწავლო პროცესს მხოლოდ საკლასო ოთახებში, 11.2% - მხოლოდ დისტანციურად, ხოლო 8.7% - კომბინირებულად, ხოლო 1.4% საერთოდ არ ესწრებოდა სასწავლო პროცესს. აღნიშნული მაჩვენებელი დათვლილია იმ 6-17 წლის ასაკის ბავშვებიდან, რომლებიც დადიოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო ან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს დისტანციურად 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;

¹ ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა ან დათვალიერება; ზღაპრების მოყოლა; სიმღერა, მათ შორის ძილის წინ; გარეთ სასეირნოდ გაყვანა; თამაში; ნივთების დასახელება, დათვლა ან ხატვა.

- 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის მარტამდე 6-17 წლის ასაკის ბავშვების, რომლებიც ესწრებოდნენ რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს 2020-2021 სასწავლო წლიდან მოყოლებული, პროცენტული წილი, რომელთა შესახებ შინამეურნეობის ზრდასრულმა წევრმა მიიღო ინფორმაცია მასწავლებლებისგან საშინაო ან/და დამატებითი დავალებების შესახებ შეადგენს 76.2%;
- 6-17 წლის ასაკის ბავშვების, რომლებიც ესწრებოდნენ რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს 2020-2021 სასწავლო წლიდან მოყოლებული, პროცენტული წილი, რომელთა შესახებ შინამეურნეობის ზრდასრულმა წევრმა საგანმანათლებლო დაწესებულებისგან მიიღო ინფორმაცია აკადემიური მოსწრების შესახებ 2020-2021 წლის პირველი სემესტრის ბოლოს შეადგენს 90.0%;
- რესპონდენტების, რომელთა შინამეურნეობის 6-17 წლის ასაკის ბავშვი ესწრებოდა რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს 2020-2021 სასწავლო წლიდან მოყოლებული, 95.8% თვლის, რომ ბავშვებისთვის სასურველი სწავლების ფორმა არის სასწავლო ოთახში სწავლება, 1.5% ასეთად თვლის დისტანციურ სწავლებას, ხოლო 2.7% - კომბინირებულ სწავლებას.

4. ბავშვის აღზრდა

- გამოკითხვის წინა 1 თვის განმავლობაში, 1-14 წლის ბავშვების 55.4%-მა განიცადა ფსიქოლოგიური აგრესია, ხოლო 19.0%-მა - ფიზიკური დასჯა როგორც ბავშვის აღზრდის მეთოდი. ამასთან, ნებისმიერი ძალადობრივი აღზრდის მეთოდი განიცადა 1-14 წლის ბავშვების 56.2%-მა.

5. სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების² გამოყენება შინამეურნეობებში

- შინამეურნეობების წევრების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ იმ შინამეურნეობებში, სადაც საკვების მოსამზადებლად გამოიყენება სუფთა საწვავი და ტექნოლოგიები, შეადგენს 89.0%. აღნიშნული მარჯვენა ხელი ქალაქად 97.3%, ხოლო სოფლად 77.3% შეადგენს;
- შინამეურნეობების წევრების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ იმ შინამეურნეობებში, სადაც იყენებენ სუფთა საწვავს და ტექნოლოგიებს საცხოვრისის გასათბობად, შეადგენს 63.8%. აღნიშნული მარჯვენა ხელი ქალაქად 88.4%, ხოლო სოფლად სულ რაღაც 29.1% შეადგენს.

² შედის ელექტრო ენერჯია, თხევადი გაზი, ბუნებრივი გაზი და მათზე მომუშავე ტექნოლოგიები.